N2692 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა, რომ ა(ა)იპ – საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებულ ფედერაციას (ს/კ 402003309) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს თავის ბალანსზე რიცხული შემდეგი მოძრავი ნივთები:

ა) 2 (ორი) ცალი კარავი (კავკასიონისათვის), 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ღირებულებით (ერთეულის ფასი 1200 ლარი);

ბ) 2 (ორი) ცალი კარავი (სამარშრუტე), 1025 (ათას ოცდახუთი) ლარის ღირებულებით (ერთეულის ფასი 512,50 ლარი);

გ) 2 (ორი) ცალი კარავი (ბანაკისთვის), 4300 (ოთხი ათას სამასი) ლარის ღირებულებით (ერთეულის ფასი 2150 ლარი).

2. ამ განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**